European Bank
for Reconstruction and Development

Independent
Project
Accountability
Mechanism

MAP მონიტორინგის ანგარიში - III
მონიტორინგის პერიოდი: აგვისტო 2021 – იანვარი 2022

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი
EBRD-ის პროექტის ნომერი 46778
საქმე 2018/08

მაისი 2022

შენიშვნა: ეს საქმე მიღებულია პროექტის გასაჩივრების (PCM), EBRD–ის ყოფილი ანგარიშვალდებულების მექანიზმის ფარგლებში, 2014 წლის PCM–ის პროცედურული წესების შესაბამისად და მონიტორინგის ეტაპი თავიდან წარიმართებოდა PCM-ის წესებისა და პროცედურების მიხედვით.

2020 წლის 1 ივლისიდან, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი შეცვალა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IPAM), რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის საფუძველზე. საქმის გადასვლის შესახებ პოლიტიკის დებულებების შესაბამისად, ნენსკრას ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ზემოთ ხსენებული თარიღიდან 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკასთან და დამტკიცებულ MAP მონიტორინგის გეგმასთან შესაბამისობით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) EBRD–ის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმია. ის განიხილავს პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოს დაცვის, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ საკითხებს. IPAM–ს აქვს რეაგირების ორი საშუალება: i) პრობლემის მოგვარება, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, რათა გადაიჭრას გარემოს დაცვის, სოციალური და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული საკითხები, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს შეასრულა თუ არა, EBRD-მა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.

IPAM–ის შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ipam@ebrd.com ან ეწვიეთ IPAM webpage.

საკონტაქტო ინფორმაცია	**როგორ შევიტანოთ საჩივარი IPAM-ში**
პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი One Exchange Square ლონდონი EC2A 2JN ტელ: +44 (0)20 7338 6000 Email: ipam@ebrd.com	EBRD-ის პროექტის გარემოს დაცვის, სოციალური კუთხით შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით ან მითითებულ მისამართზე წერილის გამოგზავნით ან ონლაინ ფორმის შევსებით https://www.ebrd.com/project-finance/ipam.html

სარჩევი

აბრევიატურების სია.....Error! Bookmark not defined.

მოკლე შეჯამება.....Error! Bookmark not defined.

1. შესავალი.....**Error! Bookmark not defined.**
2. პროექტის შესახებ.....**Error! Bookmark not defined.**
   - 2.1 შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნები.....**Error! Bookmark not defined.**
   - 2.2. შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები.....**Error! Bookmark not defined.**
   - 2.3. EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა.....**Error! Bookmark not defined.**
3. მონიტორინგის ანგარიში .....**Error! Bookmark not defined.**
   - 3.1 პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები **Error! Bookmark not defined.**
   - 3.2 მოსარჩელეთა ხედვა.....17
   - 3.3 მონიტორინგის დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები 17
   - 3.4 ცხრილი 2: MAP MAP–ის განხორციელების პროგრესი - მესამე მონიტორინგის პერიოდში განხორციელებული ქმედებები, წინა პერიოდიდან დარჩენილი აქტივობები და ამჟამინდელი სტატუსი.....19

თუ ამ ანგარიშში სხვაგვარად არ არის მითითებული, აქ მოცემული ტერმინები განსაზღვრულია 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით.

აბრევიატურები

აბრევიატურა	სრული ფორმა
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESIA	გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESD	EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა
IPAM	პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმი
IP	მკვიდრი მოსახლეობა
გამსესხებლები /დონორები	იგულისხმება პროექტის დამფინანსებლები, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB), კორეის განვითარების ბანკი (KDB) კორეის სავაჭრო დაზღვევის კორპორაცია (K-SURE)
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
MDB	მრავალმხრივი განვითარების ბანკი
OGC	გენერალური მრჩევლის სამსახური
PAP ან Policy	IPAM-ის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
პროექტი	ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (46778) საქართველოში

მოკლე შეჯამება

2018 წლის 31 მაისს, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), ნენსკრა ჰესის პროექტთან (Nenskra HPP (46778) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან. მათთან ერთად სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელეები).

PCM ექსპერტმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისობის მიმოხილვაზე, გამოავლინა გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკის ხუთ (5) შესრულების სტანდარტთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრების უკუკავშირის შემდეგ, MAP–სა და საბჭოში მცირე ცვლილებები იქნა შეტანილი გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში, რაც მოიცავდა თერთმეტ (11) განსახორციელებელ ქმედებას.

შესაბამისობის განხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM–ის საქმეთა რეესტრში, 2020 წლის 11 აგვისტოს, ამრიგად, დაიწყო MAP–ის მონიტორინგის ეტაპი. ამ პერიოდში, IPAM–მა შეადგინა MAP–ის მონიტორინგის გეგმა, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის ნოემბერში IPAM–ის საქმეთა რეესტრში, მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, რათა IPAM–მა ქმედებები ჩათვალოს შესრულებულად.

2021 წლის აპრილში, IPAM-მა გამოაქვეყნა პირველი მონიტორინგის ანგარიში, რითაც დაიხურა ქმედებები 1.i), 3.i), 4.i) და ii), ქმედება 8.i) და ქმედება 10.i), ქმედება 5.i) (სამაგიდო კვლევა) ღია დარჩა მეორე მონიტორინგის პერიოდისთვის. 2021 წლის ნოემბერში IPAM-მა გამოსცა მონიტორინგის მეორე ანგარიში, მე-5 (ფაზა 1) და მე-9 (ნაწილობრივ) ქმედებების დახურვის შესახებ, ხოლო ქმედებები 2, 3.ii) და 4.iii) ღია იყო მონიტორინგის მესამე პერიოდისთვის.

ეს ანგარიში მოიცავს მესამე მონიტორინგის პერიოდს, რომელიც გრძელდება 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის იანვრამდე. ამ პერიოდისთვის, MAP-მა განსაზღვრა შედეგები მენეჯმენტის ქმედებებთან 1, 6, 7, 8 (ფაზა 2), 9, 10 და 11 მიმართებაში და IPAM-ის მონიტორინგის გეგმაში დეტალურადაა აღწერილი IPAM-ის მიერ განსახორციელებელი

აქტივობები, რომ ისინი დასრულებულად ჩაითვალოს პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის კრიტერიუმების მიხედვით[1].

გარდა ამისა, წინამდებარე ანგარიშში ასევე განხილულია მონიტორინგის ორი წინა პერიოდის ქმედებები.

IPAM-ის ქმედებებისა მონიტორინგსა და თითოეული ქმედების შესრულების მოთხოვნების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია MAP-ის განხორციელების მონიტორინგის გეგმაში, IPAM-მა დაადგინა, რომ ქმედება 3 ii), ქმედება 1 და ქმედება 11 დასრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტის მიერ მონიტორინგის მესამე პერიოდისთვის შესრულებული სხვა სამოქმედო პუნქტებთან დაკავშირებით არის წინსვლა, თითოეული ქმედების ფარგლებში დარჩენილია მოთხოვნები, რომლებიც მენეჯმენტმა უნდა შეასრულოს და შესაბამისად, IPAM-მა ჩათვალოს ისინი დასრულებულად. ქმედებები, რომლებიც ღიად დარჩება მონიტორინგის მომდევნო პერიოდისთვის, არის:

- **მენეჯმენტის ქმედება 2** - PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა დასრულებულია და განხილული საბჭოს მიერ, მაგრამ ელოდება გაზიარებას. დადგენილი ვადა არ იქნა დაცული, მაგრამ მოწოდებულია განახლებული ვადა - კვარტალი 1, 2023. **ქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**
- **მენეჯმენტის ქმედება 4.iii** – სახელმძღვანელო შენიშვნა იწერება და დაგეგმილია ტრენინგი. დადგენილი ვადები არ არის დაცული, მაგრამ მოწოდებულია განახლებული ვადები **– 2022 წლის მესამე კვარტალი. მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**
- **მენეჯმენტის ქმედება 6** - CIA განახლდა და განხილულია IPAM-ის მიერ, მაგრამ გაზიარებაა ჯერ არ მომხდარა პროექტის შეფერხების გამო. ვადები არ არის დაცულია, მაგრამ მოწოდებულია განახლებული ვადები **– კვარტალი 1, 2023. მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**
- **მენეჯმენტის ქმედება 7** - ქმედება ჯერ არ განხორციელებულა პროექტის შეფერხების გამო. ვადები არ არის დაცული, მაგრამ მოწოდებულია განახლებული ვადები – კვარტალი 1, 2023. მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.
- **მენეჯმენტის ქმედება** 8 - GIA გადაეცა მენეჯმენტს განსახილველად. IPAM დაელოდება საბოლოო GIA-ს მიღებას მის განსახილველად. პროექტის მეორე ეტაპი, ტექნიკური თანამშრომლობა, შეჩერებულია პროექტის შეფერხების გამო. ვადა არ არის დაცული, მაგრამ მოწოდებულია განახლებული ვადები - კვარტალი 2, 2022 წელი GIA-სთვის და დაუდგენელი TC-სთვის. **მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**
- **მენეჯმენტის ქმედება 9** - LALRP განახლების ანგარიში მომზადების პროცესშია. IPAM დაელოდება საბოლოო LALRP-ის მიღებას მის განსახილველად. დადგენილი ვადები არ იქნა დაცული, მაგრამ მოწოდებულია განახლებული ვადები **– მესამე კვარტალი 2022 წ. მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**

[1] PAP-ის მიხედვით, IPAM ჩათვლის მოქმედებას დასრულებულად, როდესაც განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად შესრულდება და განრიგი დაცულია.

- **მენეჯმენტის ქმედება 10 –** CHIA-ზე მუშაობა მიმდინარეობს. IPAM-ს გადაეცა შუალედური დოკუმენტები და მოხდა განხილვა. კონსულტაციები ჩატარდა 2021 წლის ნოემბერში და 2022 წლის თებერვალში. დროული ინფორმაციის არმიღების გამო, IPAM-მა ვერ მიიღო მონაწილეობა კონსულტაციებში დამკვირვებლის სახით, თუმცა მოითხოვა კლიენტისგან შესაბამისი მტკიცებულება. დადგენილი ვადა არ იქნა დაცული, მაგრამ მოწოდებულია განახლებული ვადა – **2022 წლის მესამე კვარტალი. მოქმედება არ დასრულებულა - მონიტორინგი გაგრძელდება.**

შესაბამისობის პროცესის შედეგები და ვადები

S.No.	აქტივობა	ვადა
1.	შესრულების მიმოხილვის დასრულება	ივლისი 2020
2.	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	აგვისტო 2020
3.	MAP-ის მონიტორინგის გეგმა	ნოემბერი 2020
4.	მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე პერიოდს	აპრილი 2021
5.	მონიტორინგის მე-2 ანგარიში, რომელიც მოიცავს 2021 წლის თებერვლიდან ივლისამდე პერიოდს	ნოემბერი 2021
6.	მონიტორინგის მე-3 ანგარიში 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის იანვრამდე	მაისი 2022

მეოთხე მონიტორინგის პერიოდისთვის, მეოთხე პერიოდში განსახორციელებელი ქმედებების გარდა, IPAM მონიტორინგს გაუწევს მენეჯმენტის ქმედებებს 2, 4.iii, 6, 7, 8, 9 და 10.

მონიტორინგის შემდეგი ანგარიშის გასაჯაროება 2022 წლის აგვისტოს ბოლოს იგეგმება.

1. შესავალი

ეს არის მესამე მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ეხება მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებას ნენსკრა ჰესის საქმე 2018/03-თან დაკავშირებით (46778). პროექტის საჩივრების მექანიზმმა (PCM) საქმე 2018 წელს დაარეგისტრირა და ანდრეა სალდარიაგამ, PCM ექსპერტმა, ჩაატარა საქმის შესაბამისობის მიმოხილვა 2014 წლის PCM წესების პროცედურის შესაბამისად. ამ უკანასკნელის შესაბამისად, შესაბამისობის განხილვის ანგარიში და მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) ანგარიშის დასკვნებსა და

რეკომენდაციებაზე რეაგირებისათვის EBRD–ის დირექტორთა საბჭოს წარედგინა 2020 წლის ივლისში, ხოლო MAP საბოლოოდ დამტკიცდა 2020 წლის 5 აგვისტოს.

2020 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა (PAP), რითაც შეიცვალა 2014 წლის საპროცედურო წესები. შესაბამისად, PAP–ის V ნაწილში დადგენილი გარდამავალი დებულებების თანახმად, ნენსკრას პროექტის MAP–ის შესრულების მონიტორინგი IPAM–ის პასუხისმგებლობაა, PAP-ის მონიტორინგის დებულებების შესაბამისად (PAP– ის 2.8 პუნქტი).

2020 წლის მეორე ნახევარში IPAM–მა შეადგინა და გამოაქვეყნა ამ საქმის მონიტორინგის გეგმა, რომელსაც მოყვა პირველი მონიტორინგის ანგარიში 2021 წლის აპრილში და მეორე მონიტორინგის ანგარიში 2021 წლის ნოემბერში.

ეს არის მესამე მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მოიცავს IPAM–ის მონიტორინგის აქტივობებს მენეჯმენტის შესაბამის ქმედებებთან დაკავშირებით, 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის იანვრამდე პერიოდში.

2. ზოგადი ინფორმაცია

2018 წლის 31 მაისს, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), ნენსკრა ჰესის პროექტთან (Nenskra HPP (46778) დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან. მათთან ერთად სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელეები).

PCM ექსპერტმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამისობის მიმოხილვაზე, გამოავლინა ხუთ (5) ESP-ის შესრულების სტანდარტთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად.

2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს. აუდიტის კომიტეტის წევრებმა მოითხოვეს მცირე ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც, გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბჭომ საბოლოო ვერსია დაამტკიცა 2020 წლის აგვისტოში.

შესაბამისობის განხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM–ის საქმეთა რეესტრში, 2020 წლის 11 აგვისტოს, ამრიგად, MAP–ის მონიტორინგის ეტაპი დაიწყო.

2.1 შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნები

2020 წლის ივლისში ექსპერტმა დაადგინა, რომ ბანკმა არ შეასრულა 2014 წლის ESP–ის შესრულების მოთხოვნები 7, 1, 5, 8 და 10, რომელიც აღწერილია შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში.

2.2. შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციები

შეუსაბამობის დასკვნების საპასუხოდ, ექსპერტმა ბანკისათვის თერთმეტი რეკომენდაცია ჩამოაყალიბა, როგორც ეს შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშშია აღწერილი: ოთხი მათგანი სისტემური/პროცედურული ხასიათის იყო და შვიდი კონკრეტულად პროექტისთვის გათვალისწინებული, რაც დეტალურადაა აღწერილი პირველ მონიტორინგის ანგარიშში.

2.3. EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა

ექსპერტის დასკვნებისა და რეკომენდაციების საპასუხოდ, ბანკმა მოამზადა მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP), რომელიც დამტკიცდა საბჭოს მიერ და გამოქვეყნდა 2020 წლის 5 აგვისტოს. MAP–ში აღწერილია განსახორციელებელი 11 ქმედება და განხორციელების მოსალოდნელი ვადები.

3. მონიტორინგის ანგარიში

ეს ანგარიში მოიცავს მესამე მონიტორინგის პერიოდს, რომელიც გრძელდება 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის იანვრამდე. ამ პერიოდისთვის, MAP-მა განსაზღვრა შედეგები მენეჯმენტის ქმედებებთან 1, 6, 7, 8 (ფაზა 2), 9, 10 და 11 მიმართებაში და IPAM-ის მონიტორინგის გეგმაში დეტალურადაა აღწერილი IPAM-ის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, რომ ისინი დასრულებულად ჩაითვალოს პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის კრიტერიუმების მიხედვით[2]. (იხილეთ ცხრილი 1 მონიტორინგის ამ პერიოდის ქმედებებისთვის)

ამას გარდა, მოქმედებები 2, 3 ii) და 4 iii) ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს, ამიტომ ისინი ასევე განხილულია ამ ანგარიშში.

ცხრილი 1. ქმედებები, რომლებიც დაგეგმილი იყო 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის იანვრამდე MAP-ის მიხედვით - თავდაპირველი ვადების მიხედვით

[2] PAP-ის მიხედვით, IPAM ჩათვლის მოქმედებას დასრულებულად, როდესაც განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად შესრულდება და განრიგი დაცულია.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
1.	EBRD-ის მოთხოვნებისთვის კლიენტების მიმართ შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური თვალყურისდევნების სისტემა, რაც საშუალებას მისცემს ბანკს უზრუნველყოს, რომ ESP-ის დაცვასთან მიმართებით, პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნები დროულად განხორციელდეს. ეს სისტემა შევა ESD–ის (EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის) უზრუნველყოფის ჩარჩოში და გამოყენებული იქნება ყველა A კატეგორიის პროექტისთვის, რათა შესაძლებელი იყოს ჩაწერა, თვალყურის დევნება და მიმოხილვის კომენტარების დახურვა, რაც კლიენტებს მიეწოდება. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: დაუყოვნებლად**	ნიმუშის გამოყენების დადასტურება	იანვარი 2022	მენეჯმენტის მიერ სისტემის გამოყენების დასტური
6.	მენეჯმენტი გააგრძელებს ურთიერთობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, რათა უზრუნველყოს კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) განახლება და გამოქვეყნება PCM-ის შესაბამისობის ანგარიშის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე სესხის ხელშეკრულების ხელმოწერიდან**	გადახედეთ განახლებულ CIA-ს და გამჟღავნების მტკიცებულებებს	იანვარი 2022	- განახლებული CIA განიხილება IPAM-ის მიერ - განახლებული CIA გაზიარებული მენეჯმენტის მიერ
7.	მენეჯმენტი გააგრძელებს თანამშრომლობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, MAP-ის მესამე პუნქტის პარალელურად, ალტერნატივების შეფასებაზე რეაგირების მიზნით. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 2021 წლის აგვისტო**	განიხილეთ მოხსენებული ქმედებები	სექტემბერი 2021	მენეჯმენტის ანგარიშები განხილულია IPAM-ის მიერ
8.	შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელება გაითვალისწინებს დასკვნებზე რეაგირებას, გენდერულ და ინკლუზიის საკითხებთან დაკავშირებით. TC-ის ტექნიკური დავალება გაზიარებული იქნება PCM-ის ოფისთან და მოიცავს ორ ეტაპიან მიდგომას, პირველი - გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ეტაპი და მეორე, თავიდანვე გათვალისწინებული ტექნიკური	- გადახედეთ გენდერული ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რათა შეაფასოთ გენდერული ზემოქმედება მიგრანტი მუშაკების ნაკადთან, ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის რისკებთან დაკავშირებით GIP-ის შესაბამისად.	2021-ის ბოლოს ოქტომბერი 2021	- IPAM-ის მიერ განხილულია გენდერული ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამოქმედო გეგმა - TC პროგრამის TOR მიღებულია IPAM-ის მიერ

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
	თანამშრომლობის პროგრამა, რათა გასცდეს EBRD-ის ESP-ის შესაბამისობას. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: ეტაპი I (გენდერული ზემოქმედების შეფასება) – 2021 წლის აგვისტო** **ეტაპი II– ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტი -24 თვე სესხის ხელმოწერის შემდეგ**			
9.	მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს LALRP-ის განახლება PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორისაა, უფლებების მატრიცის სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს**	განახლებული LALRP-ის მიმოხილვა, რომელიც მომზადდება დიზაინის ცვლილებების საფუძველზე, რათა მოიცვას ყველა პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის მესაკუთრე/მომხმარებელი.	2021-ის ბოლოს	LALRP განხილულია და დასტურდება, რომ ის ითვალისწინებს CR რეკომენდაციებს
10.	მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების განახლება, რომ მოხდეს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გათვალისწინება. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც შემდგომ გადაიხედება პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე MAP–ის დამტკიცებიდან (თუ მოგზაურობის შეზღუდვები მოიხსნება)**	- განიხილეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების განახლებულ შეფასება და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა. - IPAM ასევე განიხილავს დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებზე დასწრებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან, რათა გაეცნოს მათ მოსაზრებებს. - კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის განხორციელების პროგრესის ანგარიშის განხილვა. IPAM შეხვედრის ორგანიზება საჭიროების შემთხვევაში მენეჯმენტთან. - სათემო საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის	2021-ის ბოლოს აგვისტო 2021 იანვარი 2022	- მიღებულია კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა. მიღებულია მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ადასტურებს პროექტის ჯგუფის მიერ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მოთხოვნების შესრულებას. - სათემო საინვესტიციო პროგრამის მონიტორინგის ანგარიშები მიღებულია, კულტურული

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
		ანგარიშების განხილვა, რომლებიც შექმნილია კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად ზემოქმედების მართვის მიღმა		მემკვიდრეობის მხარდაჭერის დამატებითი პროექტების შესახებ. - მიღებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩანაწერები.
11.	მენეჯმენტი თანამშრომლობს კლიენტთან, რათა ჩაატაროს გარემოს დაცვის და სოციალური მმართველობის მიმოხილვა და შეაფასოს პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნები პროექტის სხვადასხვა ვალდებულებების შესაბამისად, რომ უზრუნველყოს გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნების სრულად ათვისება და განხორციელება. ამ შედეგების შეფასების შედეგები გაზიარდება PCM–ის ოფისთან, მისი განვითარების კვალდაკვალ. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 2021 წლის აგვისტო და პერიოდულად პროექტის დახურვამდე**	პერიოდულად მოითხოვეთ ინფორმაცია მიღებული შედეგებისა და ზომების შესახებ.	2021 წლის აგვისტოდან და ბოლო მონიტორინგის ანგარიშამდე	ახალი ინფორმაცია მიღებულია
დაგეგმილი ქმედებები მონიტორინგის სხვა პერიოდებიდან				
2	შესწორებული PR7-ის ხარვეზების ანალიზის ჩატარება 2019 წლის ESP-ში და ახალი PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა, რომელიც ამჟამად მზადდება, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა ელემენტის ჩართვა. დასრულდეს და გამოაქვეყნდეს PR7 სახელმძღვანელო მითითება. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს**	ხარვეზების ანალიზის განხილვა და საბჭოს განხილვისა და გამჟღავნების პროცესის შემოწმება.	ივლისი 2021	- მენეჯმენტის მიერ შესრულებული ხარვეზების ანალიზი - PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია საბჭოს მიერ - მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა
3.	(ii) შიდა ინსტრუქციების მომზადება გამჟღავნებისთვის, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე განხორციელდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიერ ასეთი ანალიზის განხილვის შედეგები GIP-ის მიმართებაში.	მიმოიხილეთ შიდა სახელმძღვანელო შენიშვნას.	ივლისი 2021	სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია IPAM-ის მიერ

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
	მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს			
4.	(iii) შიდა სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება უფრო ფართო გენდერულ მოსაზრებებზე, რომელიც ეფუძნება 2019 წლის ESP-ს და მათთან დაკავშირებულ შესრულების მოთხოვნებს და ESD-ს ჩაუტარდება ტრენინგს, რათა დაეხმაროს პროექტებში გენდერული საკითხების/რისკების გადაჭრაში. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს**	- გადახედეთ შიდა სახელმძღვანელო მითითებებს უფრო ფართო გენდერული მოსაზრებების ჩართვის შესახებ - მოითხოვეთ ტრენინგის ჩანაწერები - ერთი IPAM გუნდის წევრმა მონაწილეობა მიიღოს ტრენინგში	ივლისი 2021	- სახელმძღვანელო შენიშვნა განიხილება IPAM-ის მიერ - ტრენინგის დოკუმენტების მიღება IPAM-ის მიერ - ტრენინგში მონაწილეობა მიიღო IPAM-ის გუნდის ერთმა წევრმა

3.1 მოცემულ პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის აქტივობები

ამ პერიოდში, მონიტორინგის განსახორციელებელი ქმედებებზე დაყრდნობით, IPAM-მა გამართა შეხვედრები მენეჯმენტთან, მოსარჩელეებთან, კლიენტთან და განიხილა წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტები და მოითხოვა წერილობითი განმარტებები საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც არასაკმარისი ინფორმაცია იყო მოწოდებული.

შეხვედრა მენეჯმენტთან

შეხვედრებზე IPAM-მა ხელმძღვანელობასთან გააჟღერა თავისი შეშფოთება მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქმედებების განხორციელების შეფერხებასა და გამჭვირვალობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ამ საკითხის შესასწავლად IPAM-მა გამართა ცალკე შეხვედრა პროექტის გუნდთან, რათა გაეგო დაგვიანების მიზეზები და დაედგინა, კვლავ რეალისტურია თუ არა არსებული ვადები. მენეჯმენტმა მოახსენა IPAM-ს შემდეგი:

„EBRD რჩება სრულად ერთგული ნენსკრა ჰესის მართვის სამოქმედო გეგმის წარმატებით დასრულებისა და ნენსკრა ჰესის პროექტის განხორციელების კუთხით. EBRD-ის მენეჯმენტი იყენებს ამ შესაძლებლობას, რათა გააზიაროს ახალი ინფორმაცია EBRD-ის კონტროლის მიღმა არსებულ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს MAP-ის შესრულების ვადაზე.

2020 წლიდან, Covid-19-ის პანდემიამ გავლენა მოახდინა პროექტის სპონსორების შესაძლებლობაზე დაეწყოთ რიგი კვლევების ჩატარება, რომლებიც საჭიროა შესაბამისობის მიმოხილვისა და შედეგად MAP-ის ფარგლებში. ამან შეაფერხა სპეციალისტ კონსულტანტების მობილიზება დამატებითი კვლევებისა და საველე სამუშაოების ჩასატარებლად, რამაც გამოიწვია გარკვეული კვლევების დაწყების დაგვიანება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია დაადასტუროს, რომ პროექტთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია პროგრესირებს და სამუშაო ვერსიები გადაეცა IPAM-ს განსახილველად მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ პროექტის სპონსორები არიან EPC კონტრაქტორის შეცვლის პროცესში, რომელიც პროექტის განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილეა. EPC კონტრაქტორის დანიშვნა კომპლექსური პროცესია და შედეგად მოჰყვა პროექტის ყველა ელემენტის განხილვა პროექტის სპონსორების და საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ. EPC-ის დანიშვნა ამჟამად მიმდინარეობს და პრიორიტეტულია პროექტის განხორციელებისას. როდესაც ეს დისკუსიები დასრულდება, MAP-ის ყველა დარჩენილი ელემენტიც დასრულდება.

მენეჯმენტს შეუძლია დაადასტუროს, რომ ყველა MAP-ის სამოქმედო პუნქტი პროგრესირებს და სათანადოდ დასრულდება პროექტის განხორციელების ციკლის შესაბამისად და, რაც მთავარია, სრულად გაითვალისწინებს შესაბამისობის მიმოხილვაში მოცემულ რეკომენდაციებს შემდგომი შეფასებისა და პროექტთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედების შესამცირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ვადები შეიცვალა, EBRD აგრძელებს მუშაობას რეკომენდაციების შედეგის მისაღწევად, სანამ ასეთი ზემოქმედება დადგება. EBRD რჩება ხელმისაწვდომი, რათა უზრუნველყოს შემდგომი ინფორმაცია საჭიროებისამებრ."

IPAM-ის პროექტის გუნდთან საუბრის შემდგომ, მათ გადახედეს ქმედებების **2, 6, 7 და 8 (TC პროექტის კომპონენტი)** ვადებს. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან პროექტის მიმდინარეობაზე, მათ აღნიშნეს, რომ შესაძლოა საჭირო გახდეს ვადების შემდგომი გადახედვა.

IPAM-მა მონიტორინგის დროს შეიტყო, რომ კონსულტაციები მე-10 ქმედებასთან დაკავშირებით, კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების მოსამზადებლად, უნდა ჩატარებულიყო 2022 წლის თებერვალში. იმ დროისთვის, როცა IPAM-მა ამის შესახებ შეიტყო, დამკვირვებლის სახით მონაწილეობა, როგორც გათვალისწინებულია მონიტორინგის გეგმით, დაგვიანებული იყო. IPAM მიიჩნევს, რომ ეს სამწუხარო ფაქტია და მოუწოდებს მენეჯმენტს პროაქტიულად მიაწოდოს მას ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მონიტორინგის ქმედებებთან. მონაწილეობის არმიღების გამო, IPAM-მა მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ.

შეხვედრა მომჩივანებთან

მონიტორინგის ფარგლებში, IPAM ასევე შეხვდა მოსარჩელეებს ვირტუალურად და განიხილა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების კვლევის

მიმდინარეობა, პროექტის და MAP-ის განხორციელების შეფერხებები, ასევე მე-5 ქმედებასთან დაკავშირებული წინსვლა PR7-ის გამოყენებადობასთან დაკავშირებით სვანეთში. მათი ხედვა განხილულია ნაწილში 3.2.

შეხვედრა კლიენტთან

საბოლოოდ, IPAM ვირტუალურად შეხვდა კლიენტს, რათა უკეთ გაეგო პროექტის სტატუსი და მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში ზოგიერთი ქმედების განხორციელების პროცესი. კლიენტმა აღწერა, თუ როგორ ვითარდება პროექტი MAP-თან მიმართებაში, ასევე გააზიარა სიახლეები თავად პროექტის შესახებ. IPAM-მა კონკრეტულად მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ქმედება 10-თან და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების (CHIA) კონსულტაციებთან დაკავშირებით. კლიენტმა მიაწოდა IPAM-ს მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის მეთოდოლოგია, გამოკითხულთა სია და ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შედეგების გაანალიზება ეკისრება მესამე მხარის კონსულტანტს, რომელიც პასუხისმგებელია CHIA-ს მომზადებაზე. IPAM-ს აცნობეს, რომ ეს ინფორმაცია შევა CHIA-ში, რომელიც მოგვიანებით გაზიარდება.

MAP-ის შესრულების შეჯამება ქმედებების მიხედვით

მენეჯმენტის ქმედება 1. IPAM-ს მიეცა წვდომა *კლიენტებისადმი EBRD-ის მოთხოვნების სისტემაზე* ნენსკრა ჰესის პროექტისთვის და შეძლო დაედასტურებინა, რომ ის აქტიურად გამოიყენება A კატეგორიის პროექტებში შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად. კლიენტთან შეხვედრისას, IPAM-მა ასევე გადაამოწმა კლიენტის მიერ ინსტრუმენტის გამოყენება. **IPAM მოქმედებას დასრულებულად თვლის.**

მენეჯმენტის ქმედება 2. ცვლილების შეხებ ინფორმაცია არ არსებობს. **ქმედება არ დასრულებულა.** მენეჯმენტმა განიხილა ამ ქმედების ვადები, რადგან ის დამოკიდებულია პროექტის მიმდინარეობაზე - **მენეჯმენტის მიერ წარდგენილი ახალი ვადა - 2023 წლის პირველი კვარტალი.**

მენეჯმენტის ქმედება 3 ii. IPAM-მა განიხილა **ალტერნატივების შეფასების განახლებული სახელმძღვანელო მითითება,** რომელიც მოიცავს განმარტებას დირექტორთა საბჭოსა და საზოგადოებისთვის გაზიარების ვალდებულებასთან დაკავშირებით, როდესაც ალტერნატივების ანალიზი განხორციელებულია ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიერ GIP-ის მიმართ ასეთი ანალიზის განხილვის შედეგებთან დაკავშირებით. ეს ქმედება თავდაპირველად დაგეგმილი იყო მონიტორინგის პირველ პერიოდში და მენეჯმენტმა წარმოადგინა საწყისი ვერსია, მაგრამ IPAM-მა მოითხოვა მითითებული ენობრივი განმარტებების შეტანა საბოლოო ვერსიაში.

მენეჯმენტის ქმედება 4 iii. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. **დაგეგმილი ქმედება** არის სახელმძღვანელო შენიშვნის შესწორებული ვერსია გენდერული კვლევის შესახებ და IPAM-ის ერთ-ერთ დაკავშირებულ ტრენინგში მონაწილეობა. მენეჯმენტმა განიხილა ამ ქმედების ვადები, რადგან ის დაკავშირებულია პროექტის მიმდინარეობასთან - **მენეჯმენტის მიერ წარდგენილი ახალი ვადა - 2022 წლის მესამე კვარტალი.**

მენეჯმენტის ქმედება No. 6. IPAM-მა განიხილა განახლებული CIA და აღნიშნა, რომ PCM ექსპერტის რეკომენდაცია „დადასტურდეს, არის თუ არა, დაგეგმილი ან გონივრულად მოსალოდნელი, რაიმე სამთო ან სატყეო საქმიანობა, რომლებიც ფარავს პროექტის არეალს“. თუმცა, **ქმედება მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება, რადგან არსებობს გაზიარების მოთხოვნა. დაგეგმილი ქმედება: CIA-ს გაზიარება. მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ახალი ვადა - 2023 წლის პირველი კვარტალი.**

მენეჯმენტის ქმედება No. 7. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. **ქმედება ჯერ არ განხორციელებულა. მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ახალი ვადა - 2023 წლის პირველი კვარტალი.**

მენეჯმენტის ქმედება No. 8. IPAM-ს აცნობეს, GIA-ს სამუშაო ვერსია გადაეცა EBRD-ს განსახილველად 2022 წლის იანვარში. **ქმედება ჯერ არ განხორციელებულა. მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ახალი ვადა - 2022 წლის მესამე კვარტალი.**

მეორე დაკავშირებული ქმედება, TC პროგრამა არ არის გათვალისწინებული ამ მონიტორინგის გეგმაში სესხის ხელმოწერიდან 24 თვის ვადით.

მენეჯმენტის ქმედება No. 9. IPAM-მა განიხილა შუალედური ანგარიშები შემდეგნაირად: სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები, მოწყვლადობის შეფასება და ანგარიში დამატებითი კონსულტაციების შესახებ. განახლებული LARLP ჯერ არ დასრულებულა. ქმედება განსახორციელებელია. **მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ახალი ვადა - 2022 წლის მესამე კვარტალი.**

მენეჯმენტის ქმედება No. 10. მენეჯმენტმა განაცხადა, რომ CHIA შემუშავების პროცესშია, კონსულტაციები ჩატარდა 2022 წლის თებერვალში. ვინაიდან IPAM არ იყო ინფორმირებული დროულად აქტივობის შესახებ, ვერ შეძლო ადგილზე ჩასვლა. შედეგად, IPAM-მა სთხოვა კლიენტს მიეწოდებინა მტკიცებულებები, რომლებიც რომელიც მოიცავდა მეთოდოლოგიურ შენიშვნას, გამოკითხულთა სიას და ფოტომასალას. გარდა ამისა, IPAM-მა მიმოიხილა 2020 წლის CIP განხორციელების პროგრესის ანგარიში და აღნიშნა წინსვლა CIP ინიციატივებთან დაკავშირებით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად. **ქმედება ჯერ არ განხორციელებულა.** IPAM-ს ჯერ არ მიუღია საბოლოო CHIA და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა განსახილველად. **მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ახალი ვადა - 2022 წლის მესამე კვარტალი.**

მენეჯმენტის ქმედება No. 11. მენეჯმენტმა გვაცნობა კლიენტთან გამართული პერიოდული ჩართულობის შესახებ და ყველა მხარის მონაწილეობით გამართული ზარებით დასტურდება, რომ კლიენტი მოქმედებს ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. **ქმედება დასრულებულია მიმდინარე პერიოდისთვის. ეს არის განმეორებითი ქმედება პროექტის დახურვამდე.**

3.2 მოსარჩელეთა ხედვა

IPAM გამართა ვირტუალური სესია მოსარჩელეებთან. შეხვედრაზე მათ გამოთქვეს შეშფოთება 2022 წლის თებერვალში ჭუბერში ჩატარებული საექსპერტო გამოკითხვის მიზნისა და დეტალების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო. მათ აღნიშნეს, რომ კვლევის შესახებ შეიტყვეს კულტურული მემკვიდრეობის რამდენიმე ექსპერტისაგან, რომლებსაც დაუკავშირდნენ კონსულტაციებში მონაწილეობის მიზნით. მათ აღნიშნეს, რომ ხსენებულმა ექსპერტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება გამოკითხვის ტექნიკურ დავალებაზე (Terms of Reference) და ზოგადად ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომის გამო.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ სწორედ ინფორმაციის არასაკმარისად გაზიარება და შეზღუდული კონსულტაციები იყო შესაბამისობის მიმოხილვის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა და აღარ უნდა განმეორებულიყო.

და ბოლოს, მათ კიდევ ერთხელ აღნიშნეს ინფორმაციის ნაკლებობა მე-5 ქმედების განხორციელების შესახებ PR7-ის გამოყენებადობის კვლევასთან დაკავშირებით, რადგან მათ ბოლოს ინფორმაცია მიიღეს 2021 წლის ივლისში. მათ მოითხოვეს დამატებითი ინფორმაცია მენეჯმენტისგან, რომელიც არ მიუღიათ.

IPAM ვალდებულებას იღებს, აცნობოს მენეჯმენტს მოსარჩელეების მიერ წამოჭრილი საკითხების შესახებ და მოახდინოს ანგარიშგება შედეგების შესახებ მომდევნო მონიტორინგის პერიოდში.

3.3 მონიტორინგის დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები

ეს ანგარიში მოიცავს მონიტორინგის მესამე პერიოდს, 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის იანვრამდე და ასახავს MAP-ის განხორციელების სტატუსს. 2022 წლის თებერვლიდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება აისახება მონიტორინგის მომდევნო ანგარიშში.

მონიტორინგის მესამე პერიოდისთვის, MAP-ის რამდენიმე დავალება იყო შესასრულებელი, კონკრეტულად მენეჯმენტის ქმედებებთან დაკავშირებული პუნქტები, 1, 6, 7, 8 (ფაზა 2), 9, 10 და 11. ამ სამოქმედო პუნქტების გარდა, ქმედებები 2, 3 ii) და 4 iii) ჩამოთვლილი იყო, როგორც დაუსრულებელი მონიტორინგის წინა პერიოდებიდან. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-2 ცხრილი დანართში, რომელიც ასახავს დაგეგმილი მონიტორინგის აქტივობებს, შედეგებს და განსაზღვრებას ქმედებების მიხედვით.

მესამე პერიოდის ბოლოს, IPAM-მა განიხილა მენეჯმენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, იმუშავა ბანკის თანამშრომლებთან, რათა უკეთ გაეგო, თუ როგორ სრულდება კონკრეტული რეკომენდაციები MAP-ის მეშვეობით. ასევე, IPAM ვირტუალურად შეხვდა მოსარჩელეებს მათი შეხედულებებისა და პრობლემების მოსასმენად და კლიენტს, რათა მიეღო ინფორმაცია ქმედებების მიმდინარეობის შესახებ.

წინსვლის შეჯამების მიზნით, IPAM-მა დაადასტურა გარკვეული ქმედებების დასრულება, მაგრამ რჩება რამდენიმე მათგანი, რომლებიც არ დასრულებულა დადგენილ ვადებში და არის მოლოდინის რეჟიმში. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკაში დადგენილი კრიტერიუმები, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის შესრულებულად ჩათვლისათვის, არის ქმედების განხორციელება MAP-ის დადგენილ გრაფიკში. IPAM თანამშრომლობდა მენეჯმენტთან, რათა განეხილათ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს განხორციელების შეფერხებები.

ამ შემთხვევაში, რიგმა შეფერხებებმა პროექტის დონეზე იმოქმედა MAP-ის დროულ განხორციელებაზე, განსაკუთრებით იმ ქმედებებისთვის, რომლებიც დამოკიდებულია პროექტის შესრულებაზე. ამ საკითხის გადასაჭრელად, IPAM-მა სთხოვა მენეჯმენტს გადახედოს MAP-ს და გამოავლინოს ის ქმედებები, სადაც დარწმუნებულია, რომ თავდაპირველი ვადები არ იქნება დაცული. ამის შემდეგ, დაასახელოს დასრულების ახალი ვადები. ამ მიმოხილვის შემდეგ, მენეჯმენტმა წარმოადგინა ვადის ცვლილებები და IPAM შესაბამისად მოახდენს მონიტორინგის გრაფიკის კორექტირებას.

მოსარჩელეთა მიერ წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით, IPAM ხაზს უსვამს კონსულტაციის პროცესების გამჭვირვალობის და დაინტერესებულ მხარეებისათვის შესაბამისი ინფორმაციის დროულად და თანმიმდევრულად მიწოდების მნიშვნელობას.

შემდგომი ნაბიჯები

მეოთხე მონიტორინგის პერიოდისთვის, მეოთხე პერიოდში განსახორციელებელი ქმედებების გარდა, IPAM მონიტორინგს გაუწევს მენეჯმენტის ქმედებებს 2, 4.iii, 6, 7, 8, 9 და 10 და ნებისმიერ სხვა დაგეგმილ ქმედებას.

მონიტორინგის შემდეგი ანგარიშის გასაჯაროება 2022 წლის აგვისტოს ბოლოს იგეგმება.

3.4 ცხრილი 2: MAP–ის განხორციელების პროგრესი - მესამე მონიტორინგის პერიოდში განსახორციელებელი ქმდებები, წინა მონიტორინგის პერიოდებიდან დარჩენილი ქმედებები და ამჟამინდელი სტატუსი

ცხრილში 2 მოცემულია ის ქმედებები, რაც მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში უნდა განხორციელებულიყო და წინა მონიტორინგის პერიოდებიდან დარჩენილი ქმედებები, მონიტორინგის აქტივობები, რომელსაც IPAM განახორციელებდა და დასრულების განსაზღვრა, PAP-ით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
1.	კლიენტების მიმართ EBRD-ის მოთხოვნებისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური თვალყურისდევნების სისტემა, რაც საშუალებას მისცემს ბანკს უზრუნველყოს, რომ ESP-ის დაცვასთან მიმართებით, პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნები დროულად განხორციელდეს. ეს სისტემა შევა ESD– ის (EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის) უზრუნველყოფის ჩარჩოში და გამოყენებული იქნება ყველა A კატეგორიის პროექტისთვის, რათა შესაძლებელი იყოს ჩაწერა, თვალყურის დევნება და მიმოხილვის კომენტარების დახურვა, რაც კლიენტებს მიეწოდება. **მენეჯმენტის ბოლო ვადა:** დაუყონებლივ	ნიმუშის გამოყენების დადასტურება	იანვარი 2022	მენეჯმენტის მიერ სისტემის გამოყენების დასტური	**Completed**	IPAM-ს მიეწოდა ინსტრუმენტი, რომელიც ამჟამად გამოიყენება ნენსკრა ჰესის პროექტზე და განიხილა იგი. მენეჯმენტმა აცნობა IPAM-ს, რომ მსგავსი ინსტრუმენტები, რომელიც დაფუძნებულია ქმედება 1-ისთვის შემუშავებულ შაბლონზე, გამოიყენება A კატეგორიის ყველა პროექტისთვის. IPAM ასევე იხილა როგორ იყენებდა კლიენტი ინსტრუმენტს. ქმედება დასრულებულია.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
2.	განახორციელეთ შესწორებული PR7-ის ხარვეზების ანალიზი 2019 წლის ESP-ში და ახალი PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა, რომელიც ამჟამად მზადდება, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოთ ყველა ელემენტის ჩართვა. დაასრულეთ და გამოაქვეყნეთ PR7 სახელმძღვანელო მითითება. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს (იანვარი 2021)**	ხარვეზების ანალიზის მიმოხილვა და ბორდის მიმოხილვის და გაზიარების პროცედურის დადასტურება.	ივლისი 2021	- მენეჯმენტის მიერ შესრულებული ხარვეზების ანალიზი - PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია საბჭოს მიერ - მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა	**არ არის დასრულებული** **გაზიარება ჯერ არ მომხდარა** **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q1 2023**	IPAM-მა განიხილა PR7 სახელმძღვანელო ჩანაწერი, საბჭოს მიერ მოწოდებული მიმოხილვის ჩათვლით. IPAM დახურულად ჩათვლის, როცა მენეგმენტი გააზიარებს.
3.	(ii) შიდა ინსტრუქციების მომზადება გამჟღავნებისთვის, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე განხორციელდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიერ ასეთი ანალიზის განხილვის შედეგები GIP-ის მიმართებაში. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს**	შიდა სახელმძღვანელო შენიშვნის მიმოხილვა.	ივლისი 2021	სახელმძღვანელო შენიშვნა განიხილება IPAM-ის მიერ	**Completed**	IPAM-მა განიხილა დოკუმენტი ენა გამჟღავნებასთან დაკავშირებით, მოწოდებულია IPAM-ის მოთხოვნის შესაბამისად. ქმედება დასრულებულია.
4.	(iii) შიდა სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება უფრო ფართო გენდერულ მოსაზრებებზე, რომელიც ეფუძნება 2019 წლის ESP-ს და მათთან დაკავშირებულ შესრულების მოთხოვნებს და ESD-ს ჩაუტარდება ტრენინგს, რათა დაეხმაროს პროექტებში გენდერული საკითხების/რისკების გადაჭრაში. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს**	- გადახედეთ შიდა სახელმძღვანელო მითითებებს უფრო ფართო გენდერული მოსაზრებების ჩართვის შესახებ - მოითხოვეთ ტრენინგის ჩანაწერები - ერთი IPAM გუნდის წევრმა მონაწილეობა მიიღოს ტრენინგში	ივლისი 2021	- სახელმძღვანელო შენიშვნა განიხილება IPAM-ის მიერ - ტრენინგის დოკუმენტების მიღება IPAM-ის მიერ - ტრენინგში მონაწილეობა მიიღო IPAM-ის გუნდის ერთმა წევრმა	**არ არის დასრულებული** **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q3 2022**	IPAM-მა განიხილა წინასწარი შიდა სახელმძღვანელო შენიშვნა EBRD-ის საინვესტიციო ოპერაციებში გენდერული შეფასების შესახებ, მონაწილეობა მიიღო სემინარში და მიაწოდა გამოხმაურება საბოლოო სახელმძღვანელოში შესატანად. როგორც კი IPAM მიიღებს დასრულებულ შენიშვნას და

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
						დასრულდება პერსონალის ტრენინგი (როდესაც IPAM მიიღებს მონაწილეობას), IPAM ჩათვლის მოქმედებას დასრულებულად.
6.	მენეჯმენტი გააგრძელებს ურთიერთობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, რათა უზრუნველყოს კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) განახლება და გამოქვეყნება PCM-ის შესაბამისობის ანგარიშის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე სესხის ხელშეკრულების ხელმოწერიდან**	განახლებული CIA-ის მიმოხილვა და გაზიარების მტკიცებულება	იანვარი 2022	- განახლებული CIA განიხილება IPAM-ის მიერ - განახლებული CIA გამჟღავნებული მენეჯმენტის მიერ	**არ არის დასრულებული** **გაზიარება დაგეგმილია** **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q1 2023**	IPAM-მა განიხილა CIA-ს განახლებული დამატებითი მასალები და აღნიშნა, რომ PCM ექსპერტის რეკომენდაცია „დადასტურდეს არის თუ არა რაიმე დაგეგმილი ან გონივრულად მოსალოდნელი სამთო ან სატყეო საქმიანობები, რომლებიც გადაფარავს პროექტის არეალს“. აქქტივობა ღია დარჩება გამჟღავნებამდე, რაც ჯერ არ მომხდარა პროექტის ციკლის გამო.
7.	მენეჯმენტი გააგრძელებს თანამშრომლობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, MAP-ის მესამე პუნქტის პარალელურად, ალტერნატივების შეფასებაზე რეაგირების მიზნით.	შეტყობინებული ქმედებების მიმოხილვა	სექტემბერი 2021	მენეჯმენტის ანგარიშები განიხილება IPAM-ის მიერ	**არ არის დასრულებული**	IPAM-ს აცნობეს, რომ არანაირი პროგრესი არ შეინიშნებოდა ქმედებაზე, რომელიც დამოკიდებულია პროექტის ციკლზე.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
	მენეჯმენტის ბოლო ვადა: 2021 წლის აგვისტო				**მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q1 2023**	
8.	შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელება გაითვალისწინებს დასკვნებზე რეაგირებას, გენდერულ და ინკლუზიის საკითხებთან დაკავშირებით. TC-ის ტექნიკური დავალება გაზიარებული იქნება PCM-ის ოფისთან და მოიცავს ორ ეტაპიან მიდგომას, პირველი - გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ეტაპი და მეორე, თავიდანვე გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, რათა გასცდეს EBRD-ის ESP-ის შესაბამისობას. მენეჯმენტის ბოლო ვადა: ეტაპი I (გენდერული ზემოქმედების შეფასება) – 2021 წლის აგვისტო ეტაპი II– ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტი - 24 თვე სესხის ხელმოწერის შემდეგ	- გადახედეთ გენდერული ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რათა შეაფასოთ გენდერული ზემოქმედება მიგრანტი მუშაკების ნაკადთან, ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის რისკებთან დაკავშირებით GIP-ის შესაბამისად.	2021-ის ბოლოს ოქტომბერი 2021	- IPAM-ის მიერ განხილულია გენდერული ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამოქმედო გეგმა - TC პროგრამის TOR მიღებულია IPAM-ის მიერ	**არ არის დასრულებული** **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q3 2022 GIA-სთვის და TC პროექტისთვის ვადა არ არის მოწოდებული**	IPAM-ს აცნობეს, რომ GIA გადაეცა EBRD-ს განსახილველად 2022 წლის იანვარში. IPAM დაელოდება GIA-ს საბოლოო ვერსიას. ქმედება ღია რჩება. ვადები შეცვლილია 2022 წლის მესამე კვარტალამდე. ქმედება 8-ის მეორე ელემენტი, ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი მოლოდინის რეჟიმშია პროექტის ციკლზე დამოკიდებულების გამო.
9.	მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს LALRP-ის განახლება PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორისაა, უფლებების მატრიცის სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა.	განახლებული LALRP-ის მიმოხილვა, რომელიც მომზადდება დიზაინის ცვლილებების საფუძველზე, რათა მოიცვას ყველა პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ	2021-ის ბოლოს	LALRP განხილულია და დასტურდება, რომ ის ითვალისწინებს CR რეკომენდაციებს	**არ არის დასრულებული** **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q3 2022**	მენეჯმენტმა მიაწოდა IPAM-ს შუალედური ანგარიშები: სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები და მოწყვლადობის შეფასება და დამატებითი საკონსულტაციო ანგარიში,

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
	მენეჯმენტის ბოლო ვადა: მონიტორინგის პირველი პერიოდის ბოლოს	მოქცეული მიწის მესაკუთრე/მომხმარებელი.				რომლებიც განიხილებოდა IPAM-ის მიერ. IPAM დაელოდება LALRP ანგარიშის განახლებას, რათა განიხილოს იგი, სანამ მოქმედების დახურვას შეძლებს.
10.	მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების განახლება, რომ მოხდეს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გათვალისწინება. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც შემდგომ გადაიხედება პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე MAP–ის დამტკიცებიდან (თუ მოგზაურობის შეზღუდვები მოიხსნება)**	- განიხილეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების განახლებულ შეფასება და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა. - IPAM ასევე განიხილავს დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებზე დასწრებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან, რათა გაეცნოს მათ მოსაზრებებს. - კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის განხორციელების პროგრესის ანგარიშის განხილვა. IPAM შეხვედრის ორგანიზება საჭიროების შემთხვევაში მენეჯმენტთან.	2021-ის ბოლოს აგვისტო 2021 იანვარი 2022	- მიღებულია კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა. მიღებულია მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ადასტურებს პროექტის ჯგუფის მიერ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მოთხოვნების შესრულებას. - სათემო საინვესტიციო პროგრამის მონიტორინგის ანგარიშები მიღებულია, კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერის დამატებითი პროექტების შესახებ.	**არ არის დასრულებული** **მოწოდებული შეცვლილი ვადები: Q3 2022**	მენეჯმენტმა აცნობა IPAM-ს, რომ CHIA-ს მომზადება მიმდინარეობს, კონსულტაციები გაიმართა 2022 წლის თებერვალში. IPAM-მა ვერ მიიღო მონაწილეობა კონსულტაციებში, მაგრამ მოითხოვა მასალები განსახილველად და მიიღო ისინი კლიენტისგან IPAM-მა განიხილა 2020 წლის CIP განხორციელების პროგრესის ანგარიში, სადაც აღნიშნა წინსვლა CIP ინიციატივებთან დაკავშირებით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად.

Action No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის განხორციელების დასრულების თარიღი	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის შენიშვნა
		- სათემო საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის ანგარიშების განხილვა, რომლებიც შექმნილია კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად ზემოქმედების მართვის მიღმა		- მიღებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩანაწერები.		
11.	მენეჯმენტი თანამშრომლობს კლიენტთან, რათა ჩაატაროს გარემოს დაცვის და სოციალური მმართველობის მიმოხილვა და შეაფასოს პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნები პროექტის სხვადასხვა ვალდებულებების შესაბამისად, რომ უზრუნველყოს გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნების სრულად ათვისება და განხორციელება. ამ შედეგების შეფასების შედეგები გაზიარდება PCM–ის ოფისთან, მისი განვითარების კვალდაკვალ. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 2021 წლის აგვისტო და პერიოდულად პროექტის დახურვამდე**	პერიოდულად ინფორმაციის მოთხოვნა მიღებული შედეგებისა და ზომების შესახებ.	2021 წლის აგვისტოდან და ბოლო მონიტორინგის ანგარიშამდე	ბოლო ინფორმაცია მიღებულია	**დასრულებულია მონიტორინგის ამ პერიოდისთვის**	ბოლო ინფორმაცია მიღებულია